პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 16 (6081)

1978 წ. 22 იანვარი კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## დღეს გუშინდელზე უკეთ!

### დინამოელთა სიტყვა

გაიმართა „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პარტიული ორგანიზაციის კრება, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და „დინამოს" პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

შარშან ბევრმა დინამოელმა სპორტსმენმა ისახელა თავი, — ითქვა კრებაზე, — ტყვიის მსროლელმა მ. პაპავამ საბჭოთა კავშირის თასი მოიგო, მოჭიდავე რ. იბრაჰიმშვილი, ჩოგბურთელი ა. მეტრეველი, ტანმოვარჯიშე პ. შამუგია საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო ველოსიპედისტი პ. ჩევარდოვი საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ვერცხლის პრიზიორია. უნივერსიადა — 77-ის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა კლასიკური სტილის მოჭიდავე ვ. ბლაგიძემ, დახვრეტილი ლარბაზებისთვის ევროპის ჩემპიონის ტიტული კი ვ. სანეევმა დაისაკუთრა. კალათბურთელები მ. ქორქია და ნ. დერიუგინი საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელები გახდნენ. მაია ჩიბურდანიძემ ბრწყინვალედ იასპარეზა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩებში და სსრ კავშირის ჩემპიონიც გახდა. „დინამომ" 1977 წლის სპორტსმენ-თანრიგოსანთა, მშღ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმა-ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულა.

კრების მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის დინამოელთა საქმიანობაში. ითქვა, რომ ყველა ფიზკულტურული კოლექტივი როდი მუშაობს კეთილსინდისიერად, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად; სპორტის ზოგიერთი სახეობის განვითარება კვლავ ჩამორჩება; „დინამოს" სპორტნაწარმის ფაბრიკის პროდუქციის ხარისხი უფრო უნდა ამაღლდეს...

კრების მონაწილეებმა იმსჯელეს სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხებზეც. აღინიშნა, რომ ალახაძეში მიმდინარეობს კომპლექსური სპორტული ბაზის მშენებლობა, რომელსაც ხელისუფლად ვერ უძღვება „მიდროენერგომშენის" გაგრის სამმართველო (უფროსი ჩ. რუხაძე). დიღმის მასივში შენდება კალათბურთისა და ფეხბურთის საწვრთნელი ბაზები, მალე ფოთში დაიწყება ნიჩბოსნობის ბაზის აგება, ხოლო ბაკურიანში — სამთო-სათხილამურო ბაზის რეკონსტრუქცია.

კრების შედეგები შეაჯამა „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. გეხარიამ, რომელმაც კრების მონაწილეებს მოუწოდა, რომ დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად გაორკეცებული ენერგიით შრომაა საჭირო. ყველა დინამოელის დევიზი უნდა გახდეს: „დღეს ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ — უკეთ, ვიდრე დღეს!"

გ. დოლენჯაშვილი.

## საქართველოს პროფკავშირების ზამთრის სპარტაკიადა

# ორ დღეში — თოთხმეტი გამარჯვებული

ბაკურიანი. 21 იანვარი (ტელეფონით). აქ დაიწყო საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ზამთრის სპარტაკიადა. საასპარეზოდ გამოვიდნენ „განთიადის", „კოლმეურნის", „სპარტაკის" „ბურევესტნიკის" სრული გუნდები. ასე განსაჯეთ, „ვოდნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომაც კი შეძლო რბენებში 18-კაციანი კოლექტივის გამოყვანა.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნის შემდეგ ალმებითა და ტრანსპარანტებით მორთულ საასპარეზოებზე ერთდროულად გაიმართა შეჯიბრებები რბოლებში, სწრაფდაშვებასა და ტრამპლინიდან ხტომაში.

კოხტაგორის ფერდობებზე მოეწყო სპორტსმენთა ტექნიკური მომზადების დონის შესაბამისი სწრაფდაშვების ტრასა, რომლის სიგრძე 1400 მეტრს უდრიდა (16 კარი). ტურნირმა რესპუბლიკის ყველა საუკეთესო სამთომოთხილამურეს მოუყარა თავი.

სპარტაკიადის პირველი დღე უხვმოსავლიანი გამოდგა: გამოვლინდა რვა ჩემპიონი. სწრაფდაშვებაში შეჯიბრება ნასყიდაშვილების ოჯახის უპირატესობით აღინიშნა. სპორტის ოსტატი იოსები წლევანდელი სტარტებისთვის გულმოდგინედ ემზადებოდა და ვაჟთა შეჯიბრებაში მთელი ტრასა ყველაზე სწრაფად (1.12,4) დაფარა.

მისი მეუღლე სვეტლანა ნასყიდაშვილიც „ბურევესტნიკის" ღირსებას იცავს. იგი ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა — 1.31,8.

თუ ვაჟთა ასპარეზობაში გამარჯვებისთვის ბრძოლა დაძაბული და უმეღავათო იყო, რასაც II და III პრიზიორების — სპორტის ოსტატების ს. მიქაბერიძისა და ა. სტეპანიანის (ორივე — „სპარტაკი") ერთნაირი მაჩვენებელიც (1.13,3) ადასტურებს, ქალებზე ამას ვერ ვიტყვით. მ. ცარიტივამ („კოლმეურნე") ჩემპიონთან 7,6 წამი წააგო, III პრიზიორმა ა. ჯაფარიძემ („განთიადი") კი ტრასის გავლას 1 წუთი და 59,8 წამი მოანდომა. კვლავ პრობლემად რჩება ქალთა შორის ამ სახეობის მასობრიობა — შეჯიბრების მონაწილენი თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ.

სპორტსმენთა სიმრავლით ვერც „მფრინავ მოთხილამურეთა" ტურნირი დაიქადნის. ამასთან, ბევრი მათგანის ტექნიკური მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ 70-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობა მხოლოდ რამდენიმე ვაჟმა და ერთმა იუნიორმა გაბედა. არც შედეგები იყო სახარბიელო — 200 ქულის მოგროვება გამარჯვებულებმაც ვერ შეძლეს. საკვირველია, რომ ახლო წარსულში, როცა სპორტსმენები პიწკალოს მთის ფერდობებზე მოწყობილ ტრამპლინზე ვარჯიშობდნენ, უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევდნენ, ვიდრე ახლა, როცა აქვე, დაბაში სამი თანამედროვე ტიპის ტრამპლინი აქვთ. მართალია, წლეულს 40-მეტრიანი ტრამპლინის საექსპლოატაციოდ გადაცემა ძალიან გაჭიანურდა, რის გამო ბიჭებს ვარჯიში აკლიათ, მაგრამ დასამალი არც ის არის, რომ მათი წვრთნის სისტემაში ყველაფერი რიგზე არაა. პროფკავშირების სპარტაკიადის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს „მფრინავი მოთხილამურეები" საკავშირო სტარტებისთვის აშკარად მოუმზადებელნი არიან.

I ადგილი დაიკავა სპარტაკელმა მ. ბაკაევმა, რომელიც 66 და 73 მეტრზე გადახტა და 185,4 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ა. ბაკაევი — 171,9 ქულა (ნახტომები — 66 და 67 მ) და ს. ხაჩატურიანი (ორივე — „კოლმეურნე") — 137 ქულა (ორივეჯერ — 64 მ). მეორე და მესამე პრიზიორებს აჯობა ვ. ხუბაევმა („კოლმეურნე") 167,4 (65 და 64), რომელმაც იუნიორთა შორის I ადგილი მოიპოვა.




მორბენლებს გრძელი და რთული დისტანციები ჰქონდათ. ქალებსა და გოგონებს 10 კილომეტრი უნდა გაევლოთ. აქ ძალები აშკარად არათანაბარი იყო. სპორტის ოსტატი ნ. ბაღაშვილი („კოლმეურნე") ფაქტიურად მხოლოდ წამმზომებს ებრძოდა, ვინაიდან საქართველოს სპორტსმენთა შორის ჯერჯერობით მისი მჯობნი არავინაა. მან მეორე პრიზიორს, თანაგუნდელ მ. კალმიკოვას (41.47) 4 წუთი და 35 წამი მოუგო. მესამე საპრიზო ადგილი ხვდა ა. ტროფიმენკოვას („სპარტაკი"), რომელმაც საკმაოდ დაბალი შედეგი (48.03) აჩვენა. მას გოგონებმა ლ. ვლასოვამ (44.53) და ლ. გუბანოვამაც (ორივე — „კოლმეურნე") — 45.12 აჯობეს. გოგონათა შეჯიბრების მესამე პრიზიორი გახლდათ ნ. რატიანი („განთიადი") — 49 წუთი.

ვაჟთა შორის (ისინი 30 კილომეტრზე დარბოდნენ) საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ა. მოროზოვი — 1:35.37, ა. კალმიკოვი (ორივე — „ბურევესტნიკი") — 1:37.46 და გ. მაკიევი („სპარტაკი") — 1:39.55.

იუნიორთა შორის 20 კილომეტრზე შეჯიბრებაში სამივე საპრიზო ადგილი „კოლმეურნის" წევრებს — ვ. ტერეხოვს (1.06.58), ნ. მიტინსა (1:08.02) და რ. ზედგინიძეს (1:08.52) ხვდათ.

სპარტაკიადის მეორე დღეს ექვსი გამარჯვებული გამოვლინდა. 1200-მეტრიანი გიგანტური სლალომის ტრასაზე (38 კარით) ვაჟები ორ-ორჯერ ეშვებოდნენ. იუნიორები ძალას თითოჯერ ცდიდნენ. უფრო მასობრივი გამოდგა 40-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელთა ასპარეზობა. იმ დღეს მ. ბაკაევის შედეგი ერთგვარად იმედის მომცემი აღმოჩნდა. იგი ორივეჯერ ყველაზე შორს (43 და 47,5 მეტრზე) გადახტა და 210,3 ქულის მოგროვება შეძლო. ა. ბაკაევის შედეგია — 201,5 (41 და 46 მ), ს. ხაჩატურიანი კვლავ უხეიროდ გამოვიდა — 185,1 ქულა (40 და 41 მ).

* * *

ამდღევანდელი ტექნიკური შედეგები ასეთია: **რბენა.** 5 კმ. **ქალები.** ნ. ბაღაშვილი — 18.08, მ. კალმიკოვა — 20.18, ა. ტროფიმენკოვა — 23.02. **გოგონები.** ლ. გუბანოვა — 21.50, ლ. ვლასოვა — 22.39, ნ. აბაშიძე („ვოდნიკი") — 25.09. **გიგანტური სლალომი. ვაჟები.** ი. ნასყიდაშვილი — 2.41,4, დ. თვაური („კოლმეურნე") — 2.43,0, ს. მიქაბერიძე — 2.43,1. **იუნიორები** ჯ. ფხაკაძე („სპარტაკი") — 1.34,1, კ. იაშვილი („ბურევესტნიკი", პირადი) — 1.34,1, თ. ჯაფარიძე („ბურევესტნიკი") — 1.35,1. **ტრამპლინი. იუნიორები.** ა. ფანჯაკიძე („კოლმეურნე") — 191,4 ქულა (ნახტომები 40 და 39 მ), გ. ქუმარიტაშვილი („სპარტაკი") — 189 (39 და 40 მ), ვ. ხუბაევი — 169,2 (38 და 40 მ).

სპარტაკიადა გრძელდება.

ს. ნათაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



## კვლავ გადაიდო

როგორც ცნობილია, ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მ. ჩიბურდანიძე — ა. კუშნირის ფინალური მატჩის I პარტია ბად-კისინგენში (გფრ) 20 იანვარს უნდა გამართულიყო, მაგრამ ორგანიზატორებმა ამ დღისთვის მატჩის ოფიციალური გახსნა და კენჭისყრა გადაიტანეს.

გუშინწინ ბად-კისინგენში დიდოსტატ **ბ. გურგენიძეს** ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქველიაშვილი.**

— ორგანიზატორებმა კვლავ გადაიტანეს მატჩის დაწყების დღე, — თქვა დიდოსტატმა, — მათი გადაწყვეტილებით შეჯიბრება უნდა გაიხსნას შაბათს, 21 იანვარს, I პარტია კი მომდევნო დღისთვის არის დანიშნული, თუ, რა თქმა უნდა, ისევ რამე არ შეიცვალა. მატჩის სხვადასხვა დეტალი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. კუშნირი და მისი მწვრთნელი ბად-კისინგენში არიან. ჩვენ კარგად მოვემზადეთ და შეჯიბრების სტარტს ველით.

**ჭადრაკი**

## გულკო თუ დორფმანი?

გუშინწინ მოსკოვში დაიწყო ბ. გულკო — ი. დორფმანის მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის.

30 წლის გულკომ (მოსკოვი) და 26 წლის დორფმანმა (ლვოვი) 1977 წლის მიწურულს, ლენინგრადში სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში, I-II ადგილები გაიყვეს. ჩემპიონის გამოსავლინებლად მათ შორის დამატებითი მატჩი (6 პარტია) დაინიშნა. თუ ორთაბრძოლა ყაიმით (3:3) დამთავრდა, მაშინ მეტოქენი განაგრძობენ თამაშს პირველ მოგებამდე.

I პარტია პრეტენდენტებმა ყაიმით დაამთავრეს.

## საქართველოს სპორტკომიტეტში

**კაუნასში** (ლიტვა) ამას წინათ დამთავრებულ სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა ჩემპიონატებში წარმატებით გამოსვლისთვის საქართველოს სპორტკომიტეტმა სიგელით და ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციის I კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ზ. აზმაიფარაშვილი (რომელმაც ჭაბუკებში ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა), ხოლო გოგონათა შეჯიბრებაში II ადგილზე გასულ ქ. მელაშვილს გამოუცხადა მადლობა და დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრით.

## უძლიერესთა გუნდში

**მოსკოვიდან** მოვიდა ცნობა, რომ გასული წლის შედეგების მიხედვით 13 წლის თბილისელი გოგონა ხათუნა ნანიშვილი შეყვანილია სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრებში.

ხათუნამ კარგად იცის, რომ სპორტსმენს მხოლოდ დაუღალავი შრომის შედეგად შეუძლია მაღალი მწვერვალების მიღწევა და ამიტომაც ყოველდღიურად თავდაუზოგავად ვარჯიშობს. მისი აღმზრდელები არიან სპორტის ოსტატები დ. სირაძე და გ. გიუტაშვილი — ოლიმპიური რეზერვის თბილისის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშის სკოლის მწვრთნელები.

გოგონას ვარჯიშები გამოირჩევა გაბედული შესრულებით, ზერთული ელემენტების სიუხვით, ორიგინალობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხათუნას მტკიცე ხასიათი, მაღალი ფსიქოლოგიური მომზადება — ყველაზე საპასუხისმგებლო ასპარეზობებზეც იგი დინჯად და აუღელვებლად გამოდის.

სასიხარულოა, რომ სკოლა, სადაც თავის დროზე აღიზარდნენ ჩვენი შესანიშნავი სპორტსმენები — ალექსანდრა ჯანუყაშვილი, ძზია ნინოშვილი, მიხეილ ბოგუსი, ნოდარ მაკალათია, როზა ბერიკაშვილი და სხვები, ტრადიციებს აგრძელებს...

... მესამე თვეა ხათუნა ნანიშვილი ვარჯიშობს მოსკოვში. მიხეილ კლიმენკოს ხელმძღვანელობით, იგი 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება.



სურათზე: ხათუნა ნანიშვილი. გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

# სპორტულ ბაზებს — მზრუნველი ხელი!

## ნამდვილი გაზაფხულიც კარგია

● შავი ზღვის სანაპიროს სპორტული ცენტრი ● ჰკითხეთ ანდრიანოვსა და საადის... ● სამი საფეხბურთო მწვანე ხალიჩა — 7 გუნდის მოსამზადებელი „პოლიგონი" ● კეთილმოწყობის სამომავლო გეგმებიც დასახულია ● აკადემიკოსი ვიქტორ აფანასიევი: მხოლოდ აქ, ლესელიძეში ვექცევი უკვე მივიწყებული სპორტული აზარტის ტყვეობაში ● ნამდვილი დიდი ოლიმპიური სოფელი! ● იანვრის ხანმოკლე დუმილს მალე აახმაურებს ბურთისცემის ხმა.

**ზამთრის** ხანმოკლე შესვენების შემდეგ თანდათანობით იკვეთება ახალი საფეხბურთო სეზონის კონტურები. ჯერჯერობით ეს ყველაფერი საგაზეთო ცნობებში იჩენს თავს — ოფიციალურ ქრონიკაში, შენიშვნებში, მწვრთნელთა მცირე ინტერვიუებში, სულ რაღაც ერთკვირიან გეგმებს რომ გულისხმობს. თუმცა, არცთუ შორს არის ის დრო, როცა ბურთის სიმძიმის ცენტრი მკვეთრად გადაინაცვლებს სამხრეთის საფეხბურთო მინდვრებზე, როცა სმენადქცეული მივუგდებთ ყურს მუსიკალური ჟღერადობის მქონე სიტყვებს — „საგაზაფხულო შეკრება", „სპარინგპარტნიორი", „საკონტროლო მატჩი". შავი ზღვის სანაპირო იმ საქვანძო სადგურს დაემსგავსება, სადაც გრძელი სატურნირო გზისთვის უნდა ჩამოყალიბდეს გუნდების შემადგენლობა — ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული, მაგრამ ერთი სურვილით აღვსილი — პირველნი მივიდნენ სანუკვარ მიზნამდე.

ამ სადგურის ერთ-ერთი მთავარი ბაქანი ლესელიძის ოლიმპიური მომზადების სასწავლო-სპორტული ბაზაა. ახლა, ფეხბურთი 78-ის ციებცხელების წინ, ის უჩვეულოდ მშვიდი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მოვლილი და კოხტაა.

თუმცა, ნუ ვიქნებით სულსწრაფნი, ნუ გადავასწრებთ წლობით შეჩვეულ განრიგს და უბრალოდ შევიხედოთ ჭიშკარში „პანსიონატი სპორტი" რომ აწერია, ახლოს გავეცნოთ ამ პოპულარულ კომპლექსს. ბაზის დირექტორ **ავთანდილ გასვიანზე** უკეთეს გამყოლსაც ალბათ ვერ ვიპოვით. მთელი ცხოვრება ლესელიძეში გაატარა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, პაიჭაძის, ჯეჯელავას, პანიუკოვისა და ლოლობერიძის სანახავად რომ დარბოდა აქ. მეოთხე წელიწადია, რაც ამ დიდსა და რთულ მეურნეობას ხელმძღვანელობს.

— ერთდროულად 250 სპორტსმენს შეგვიძლია ვუმასპინძლოთ, — გვესაუბრება ბაზის დირექტორი, — რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთესი პირობები მძლეოსნებისთვის, ტანმოვარჯიშეთათვისა და ფეხბურთელებისთვის გვაქვს. დავიწყოთ „სპორტის დედოფლით". ჩვენთან ემზადებიან არა მარტო ქვეყნის ნაკრები გუნდები, ცენტრალური საბჭოებისა და უწყებათა კოლექტივები, არამედ სოციალისტური ქვეყნების — გდრ-ის, პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის სპორტსმენები. საქმე ის არის, რომ ლესელიძის წიდიანი სარბენი ბილიკი ერთადერთია საბჭოთა კავშირში. ასეთი ბილიკი თითებზე ჩამოსათვლელია ევროპაშიც. ბოლო ხანებში სპორტულმა მედიცინამ განგაში ატეხა. სტადიონებზე სინთეტიკური საფარველის მოზღვავებამ მკვეთრად გაზარდა ტრავმები. სეზონის დასაწყისში წიდიანი ბილიკიდან ხელოვნურზე თანდათანობითი გადასვლა კი თითქმის გამორიცხავს ამ ტრავმებს. უთუოდ ვამაყობთ იმითაც, რომ ბოლო წლების ყველა უძლიერესი ტანმოვარჯიშე ოქროს მედლების საძებნელად ჩვენი ლამაზი საწვრთნელი დარბაზიდან მიდის. ჰკითხეთ ნიკოლოზ ანდრიანოვსა და ელვირა საადის, ლიუდმილა ტურიშჩევასა და ნელი კიმს... მადლობისა და კეთილი ღიმილის გარეშე ვერ გაიხსენებენ ლესელიძეს. რაც შეეხება სამ საფეხბურთო მწვანე ხალიჩას... წლების განმავლობაში ეს მინდვრები თბილისის, კიევის, მოსკოვისა და მინსკის დინამოელთათვის, „შახტიორის", „ქაირათისა" და ქუთაისის „ტორპედოსათვის" ძირითადი მოსამზადებელი პოლიგონია. მათ განკარგულებაშია ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები, ფინური აბანო.

თითქმის ისეთივე ხალისით ლაპარაკობს დირექტორი კომპლექსის პერსპექტივებზე, თუმცა დროდადრო მაინც თავს იჩენს ხოლმე ძლივსშესამჩნევი წუხილიც. სიძნელეებზე კარგად იციან პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტში და ოლიმპიური ბაზის კეთილმოწყობის სამომავლო ღონისძიებებიც უკვე დასახულია.

**ნუგზარ ვორონოვი, პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი:**

— მშვენივრად გვესმის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ამ ცენტრს ენიჭება საბჭოთა სპორტის აღმავლობისთვის. 1977 წელს დაიწყო სპორტული თამაშებისთვის განკუთვნილი დარბაზის მშენებლობა (№ 3 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, უფროსი ჯოზავა). ამ ხნის განმავლობაში ერთობ მცირე გაკეთდა, წლეულს მშენებლებს მოვთხოვთ როგორმე აანაზღაურონ დანაკარგი. დაგეგმილია საცხოვრებლების რეკონსტრუქცია, სამედიცინო-ბიოლოგიური ცენტრის აგება, სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებისთვის განსაზღვრული გვაქვს ნავმისადგომისა და ელინგის მოწყობა.

როგორც ჩანს, ლესელიძის კომპლექსი თანდათან უნივერსალურ, მრავალპროფილიან ბაზად იქცევა. მოვუსმინოთ რას ამბობს **სსრ კავშირის წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი ვიქტორ აფანასიევი:**

— სიამოვნებით ჩამოვდივარ ლესელიძეში. შვებულების დღეებს თითქმის აქ ვატარებ. კვლავ ვხვდები უკვე მივიწყებული სპორტული აზარტის ტყვეობაში — ყველა ვარჯიშობს, რაღაცაში ეჯიბრება ერთი-მეორეს. არა მარტო ისინი, ვინც საწვრთნელ შეკრებაზეა — ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ათასობით ჩვეულებრივი დამსვენებელიც კი. დარწმუნებული ვარ, ნავსადგომის აგებასთან ერთად ლესელიძის სპორტული ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი, შინაარსიანი გახდება, ძალზე ბევრნი პირველად ეზიარებიან სიხარულს, საწყლოსნო სპორტი რომ აძლევს ადამიანებს.

და მართლაც, ლესელიძე მხოლოდ ოლიმპიური ბაზა არ არის, აქ ისვენებენ სულ უფრო ბევრნი და ბევრნი და ყველა ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება ახლოს მოეწყონ პანსიონატ „სპორტთან". არც ის არის გასაკვირი, რომ მათ შორის წარსულში სახელგანთქმულ სპორტსმენებსაც შეხვდებით, იმათ, ვინც წლების მანძილზე არ ღალატობენ ძველ სიყვარულს.

**სერგო კოტრიკაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი:**

— თითქმის ყოველ ქართველ სპორტსმენს, განსაკუთრებით კი ფეხბურთელებს, თავიანთი სპორტული ბიოგრაფიის მრავალი ფურცელი [illegible] ლესელიძესთან. [illegible] შემიძლია ვირბინო ხეივნებში. რამდენი ოფლია ჩაღვრილი ამ ადგილებში! ყოველ წელს რაღაც ამოუცნობი ძალა გაიძულებს რამდენიმე დღით მაინც ინახულო ზღვისპირეთის ეს დაბა. უთუოდ ამასვე გრძნობენ ის ვეტერანებიც, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ მხვდებიან — გივი კარტოზია და სერგეი შუდრა, გურამ მინაშვილი და იური ოსიპოვი, ჯანო ბაგრატიონი, თენგიზ მელაშვილი, ლერი კარტოზია, ჯიმშერ ნატრიაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე — მეუღლეებითა და შვილებით... ნამდვილი დიდი ოლიმპიური სოფელია!

კაცი უნებურად იფიქრებ, რომ შეიძლებოდა ოჯახური ოლიმპიური თამაშების მოწყობაც კი... თუმცა, მოდით ნამდვილ ოლიმპიელებს დავუბრუნდეთ. მათ ახლა ერთი მიზანი აქვთ — „მოსკოვი-80".

ჩვენი ქვეყნის კალათბურთელ ქალთა ნაკრები წვრთნას გადიოდა ლესელიძეში.

**გვესაუბრება სპორტის დამსახურებული ოსტატი, გუნდის უფროსი მწვრთნელი ლიდია ალექსეევა:**

— კალათბურთელთათვის აქ მაინცდამაინც ბევრი ვერაფერი სახარბიელო პირობებია, მაგრამ ჩვენი გოგონები უკვე მეორედ ჩამოვიყვანეთ და კმაყოფილნიც ვართ. მშვენიერი ჰავა, მშვენიერი მომსახურება, თბილი, სასიამოვნო ატმოსფერო და, რა თქმა უნდა, ზღვა. ეს ყველაფერი ერთად ხანდახან გვავიწყებს კიდეც დახურული დარბაზის უქონლობას. მაგრამ ჩვენ არა მარტო ოლიმპიელები, ოპტიმისტებიც ვართ და გვჯერა კიდეც, რომ სულ მალე ასეთი დარბაზი კომპლექსის ერთ-ერთი მშვენება გახდება.

... ამ საუბრების მეტი წილი ზაფხულის ბოლოს შედგა. ახლა ლესელიძეში უჩვეულო სიჩუმე და სიმშვიდეა, მაგრამ ამ იანვრის ხანმოკლე დუმილს მალე აახმაურებს ფეხბურთის ბურთისცემის ხმა.

უკვე იგრძნობა ნამდვილი გაზაფხულის სუნთქვა! უკვე იბადება ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების ახალი დღე!

**თ. სულხანიშვილი.**

# რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ





## მთელი კოლექტივის შრომითი მონაწილეობით

**ბორჯომს** მთელი წლის განმავლობაში არ აკლია სტუმრები. იქაური ბუნება, წყალი, ჰაერი, მზე ანდამატივით იზიდავს ყველას — დიდსა თუ პატარას. თავის მხრივ, „ბორჯომიც" „მოგზაურობს": ეს ძვირფასი სამკურნალო წყალი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, აგრეთვე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში იგზავნება. მადლობის ბარათებს თვლა არა აქვს და მათ პასუხად თავდადებით შრომობს სერგო ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" (გენერალური დირექტორი ქ. ხარისჭირაშვილი) ახალგაზრდული კოლექტივი.

გასულ საიუბილეო წელს აქ გეგმა-ვალდებულების ზევით 5 მილიონი ბოთლი „ბორჯომი" ჩამოასხეს. ამ წარმატებაში თვალსაჩინოა გაერთიანების ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების წვლილი, ამიტომაა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა პასუხად მეტი ყურადღებით ეკიდება მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გაერთიანების დირექციის ინიციატივით № 2 ჩამომსხმელი მოთავე ქარხნის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის მოსაწყობად 2 ჰექტარი მიწის ფართობი გამოიყო და მალე მუშაობაც გაჩაღდა. ბაზების აგებაში გაერთიანების თითქმის მთელი კოლექტივი მონაწილეობს.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დახურული საცურაო აუზის, ფეხბურთის მინდვრის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების, სარბენი ბილიკების, მძლეოსნური სექტორების მოწყობა.

საცურაო აუზის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, მხოლოდ გადახურვისა და გასახდელი ოთახების კეთილმოწყობის სამუშაოებია დასამთავრებელი.

ამ დღეებში სასურველი სტუმარი გვეწვია: საწარმოო გაერთიანების დირექციის თხოვნით ბორჯომში ჩამოვიდა ჩვენი თანამემამულე, ახალდაბის მკვიდრი, „სოიუზსპორტპროექტის" ინსტიტუტის სპორტული გაზონების დარგის მთავარი სპეციალისტი გივი აბრამიშვილი. ცნობილმა საბჭოთა ინჟინერ-დეკორატორმა მრავალი წლის მანძილზე დააგროვა მდიდარი გამოცდილება, რომელსაც ხალისით უზიარებს თავის კოლეგებს.

და აი, გივი აბრამიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ძალზე გადატვირთულია, მშობლიური კუთხის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შეფობის გასაწევად ესტუმრა. სწორედ მისი კონსულტაციით და პრაქტიკული დახმარებით მოეწყობა ფეხბურთის მწვანე მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

ეჭვი არ არის, რომ მიმდინარე წლის ბოლოსთვის საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" მშრომელთა სამსახურში ჩადგება ჯანმრთელობის წყარო — მშვენიერი სპორტული კომპლექსი.

**ზ. აბრამიშვილი.**

* * *

**სურათებზე:** აუზის მშენებლობის ხედი; აქ მოეწყობა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

ავტორის ფოტოები.

# მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი

ბუენოს-აირესი. ფეხბურთში მსოფლიოს XI ჩემპიონატის წილისყრის პროცედურა, რომელიც მიმდინარეობდა არგენტინის დედაქალაქის კულტურულ ცენტრ „სან მარტინში“, პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა იმ პროცედურისგან, რომელიც გაიმართა 4 წლის წინათ მიუნხენის 1974 წლის პირველობის წინ.

ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში არგენტინის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ 4 წინასწარ ჯგუფს სათავეში ჩაუდგებოდნენ არგენტინის, გფრ-ის, ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდები, თუმცა, ჰოლანდიელებმა — 1974 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა, პროტესტი შეიტანეს ფიფა-ში და ისინი ჩართეს ლიდერთა სიაში იტალიელთა ნაცვლად, იტალიის ნაკრები კი წილისყრამდე გაანაწილეს პირველ ჯგუფში (კომპრომისული გადაწყვეტილება).

ამრიგად, წილისყრა ფაქტიურად მოეწყო იმ 11 გუნდისთვის, რომლებიც, თავიანთ მხრივ განაწილებული იყვნენ 4 ქვეჯგუფში:

1. შოტლანდია, ესპანეთი, პოლონეთი (შეეძლოთ მოხვედრილიყვნენ მეორე, მესამე, მეოთხე ჯგუფში);
2. მექსიკა, პერუ (მეორე და მეოთხე);
3. უნგრეთი, შვეცია (პირველი და მესამე);
4. საფრანგეთი, ავსტრია, ირანი, ტუნისი (ნებისმიერ ჯგუფში).

ამოსული ნომრების მიხედვით გუნდები ჯგუფებში შემდეგნაირად განაწილდნენ:

1. **არგენტინა, უნგრეთი, საფრანგეთი, იტალია;**
2. **პოლონეთი, გფრ, ტუნისი, მექსიკა;**
3. **ავსტრია, ესპანეთი, შვეცია, ბრაზილია;**
4. **ჰოლანდია, ირანი, პერუ, შოტლანდია.**

ჩემპიონატის ფინალური ნაწილის კალენდარი წინასწარ იყო განსაზღვრული, და როდესაც ნომრების ნაცვლად ჩაისვა გუნდები, მივიღეთ შემდეგი სურათი:

1 ივნისი. **გფრ — პოლონეთი**, ბუენოს-აირესი, II ჯგუფი.
2 ივნისი. **არგენტინა — უნგრეთი**, ბუენოს-აირესი, I.
2 ივნისი. **საფრანგეთი — იტალია**, მარ-დელ-პლატა, I.
2 ივნისი. **ტუნისი — მექსიკა**, როსარიო, II.
3 ივნისი. **ესპანეთი — ავსტრია**, ბუენოს-აირესი, III.
3 ივნისი. **შვეცია — ბრაზილია**, მარ-დელ-პლატა, III.
3 ივნისი. **პერუ — შოტლანდია**, კორდობა, IV.
3 ივნისი. **ირანი — ჰოლანდია**, მენდოზა, IV.
6 ივნისი. **არგენტინა — საფრანგეთი**, ბუენოს-აირესი, I.
6 ივნისი. **იტალია — უნგრეთი**, მარ-დელ-პლატა, I.
6 ივნისი. **პოლონეთი — ტუნისი**, როსარიო, II.
6 ივნისი. **მექსიკა — გფრ**, კორდობა, II.
7 ივნისი. **ავსტრია — შვეცია**, ბუენოს-აირესი III.
7 ივნისი. **ბრაზილია — ესპანეთი**, მარ-დელ-პლატა, III.
7 ივნისი. **შოტლანდია — ირანი**, კორდობა, IV.
7 ივნისი. **ჰოლანდია — პერუ**, მენდოზა, IV.
10 ივნისი. **იტალია — არგენტინა**, ბუენოს-აირესი, I.
10 ივნისი. **საფრანგეთი — უნგრეთი**, მარ-დელ-პლატა, I.
10 ივნისი. **მექსიკა — პოლონეთი**, როსარიო, II.
10 ივნისი. **ტუნისი — გფრ**, კორდობა, II.
11 ივნისი. **შვეცია — ესპანეთი**, ბუენოს-აირესი, III.
11 ივნისი. **ბრაზილია — ავსტრია**, მარ-დელ-პლატა, III.
11 ივნისი. **პერუ — ირანი**, კორდობა, IV.
11 ივნისი. **შოტლანდია — ჰოლანდია**, მენდოზა, IV.

მეოთხედფინალური მატჩები ორ ჯგუფში („ა“ და „ბ“) გაიმართება 14, 18 და 21 ივნისს.

„ა“ ჯგუფში შევლენ: I და III ჯგუფში გამარჯვებულები და გუნდები, რომლებიც II და IV ჯგუფში დაიკავებენ მეორე ადგილებს; „ბ“ ჯგუფში: II და IV ჯგუფში გამარჯვებულები და, აგრეთვე, გუნდები, რომლებიც I და III ჯგუფში დაიკავებენ მეორე ადგილებს.

გუნდები, რომლებიც მეოთხედფინალურ ჯგუფებში დაიკავებენ მეორე ადგილებს, 24 ივნისს ბუენოს-აირესში შეხვდებიან მესამე ადგილისთვის, ხოლო მეოთხედფინალებში გამარჯვებულები 25 ივნისს (არგენტინის დედაქალაქში) ერთმანეთს შეხვდებიან ფინალურ მატჩში. საყაიმო შედეგის შემთხვევაში (ძირითადი და დამატებითი დრო) გადათამაშება მოხდება 27 ივნისს.

## წილისყრამ დაასახელა

**20 იანვარს** ციურიხში შედგა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა. მოსკოვის „დინამოს“ მეტოქე იქნება ესპანეთის ქალაქ სევილიის „რეალ-ბეტისი“. დანარჩენი გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ვაილე“ (დანია) — „ტვენტე“ (ჰოლანდია), „პორტო“ (პორტუგალია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია), „აუსტრია“ (ავსტრია) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია).

მეოთხედფინალის პირველი მატჩები გაიმართება 1 მარტს, ხოლო განმეორებითი — 15 მარტს.

„რეალ-ბეტისი“ ესპანეთის ჩემპიონატში 17 ტურის შემდეგ იმყოფება XIII ადგილზე (მონაწილეობს 18 გუნდი).

## ნაყოფიერი მუშაობის შედეგი

**ირანის** ნაკრების მოხვედრა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ბევრს მოულოდნელობად მიაჩნია, თვით ირანელები კი სხვა აზრის არიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ესაა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან გეგმაზომიერი, ნაყოფიერი მუშაობის შედეგი. ფეხბურთი ირანში ძალზე პოპულარულია, აქ დაახლოებით 5 ათას კლუბში გაერთიანებულია 220 ათასი ფეხბურთელი.



## მწვრთნელთა შეხედულებით

**წილისყრას** ესწრებოდნენ ფინალის მონაწილე ყველა ქვეყნის გუნდის მწვრთნელები. კორესპონდენტებმა აქვე გამოათქმევინეს თითოეულ მათგანს აზრი იმის შესახებ, თუ ვინ იქნება ფავორიტი და ვინ — მედლების პრეტენდენტები.

**ჰელმუტ შიონი (გფრ):** ფავორიტებია არგენტინა ან ბრაზილია. მედლების პრეტენდენტები — ჰოლანდია, იტალია, ესპანეთი, შოტლანდია და გფრ.

**მიშელ იდალგო (საფრანგეთი):** გფრ. ჰოლანდია, არგენტინა და ბრაზილია.

**ალი მაკლეოდი (შოტლანდია):** უნგრეთი. ჰოლანდია, გფრ, იტალია და ბრაზილია.

**ერნსტ ჰაპელი (ჰოლანდია):** ფავორიტი არ არის. მედლების პრეტენდენტებია გფრ, ბრაზილია, არგენტინა, ჰოლანდია და იტალია.

**ლუის მენოტი (არგენტინა):** გფრ. ბრაზილია, ჰოლანდია და არგენტინა.

**ჰელმუტ სენეკოვიჩი (ავსტრია):** გფრ ან ჰოლანდია. არგენტინა და შოტლანდია.

**კლაუდიო კუტინიო (ბრაზილია):** გფრ ან ჰოლანდია. იტალია და არგენტინა.

**ხოსე როჩა (მექსიკა):** გფრ. არგენტინა, ბრაზილია, იტალია და ჰოლანდია.

**გეორგ ერიქსონი (შვეცია):** გფრ. ბრაზილია, არგენტინა და ჰოლანდია.

**ლაიოშ ბაროტი (უნგრეთი):** არგენტინა. გფრ, ბრაზილია და ჰოლანდია.

**ენცო ბეარზოტი (იტალია):** გფრ ან ჰოლანდია. ბრაზილია და არგენტინა.

**მარკოს კალდერონი (პერუ):** ბრაზილია. გფრ, ჰოლანდია და არგენტინა.

**მეიდ ჩეტალი (ტუნისი):** გფრ. ბრაზილია, არგენტინა და ჰოლანდია.

**ესმათ მოხაერანი (ირანი):** ბრაზილია. არგენტინა, გფრ და ჰოლანდია.

**იაცეკ გმოხი (პოლონეთი):** ფავორიტი არაა. გფრ, არგენტინა, ბრაზილია და იტალია.

**ლადისლაო კუბალა (ესპანეთი):** ფავორიტი არაა. ბრაზილია, არგენტინა, გფრ, ჰოლანდია, იტალია და ესპანეთი.

## ფეხბურთი

### „ბალაჩზე“, სახურავს ქვეშ

**ლენინგრადი.** ფეხბურთელთა ზამთრის ტურნირში „ნედელიას“ პრიზზე კიევის დინამოელებმა ანგარიშით 4:2 მოუგეს ლენინგრადის „დინამოს“.

ბაქოს „ნეფთჩისა“ და დონეცკის „შახტიორის“ შეხვედრაში ბაქოელებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება — 3:1. ლენინგრადის ტურნირში პირველი ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდებიან კიევის „დინამო“ და ვოროშილოვგრადის „ზარია“.

## ფრენბურთი

**ბაქოში** მიმდინარე ფრენბურთელ ქალთა გუნდების მე-40 საკავშირო ჩემპიონატზე მეორე დღეს შარშანდელმა ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“ წააგო ბრინჯაოს პრიზიორთან, სვერდლოვსკის „ურალოჩკასთან“ — 2:3. ამ დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ისკრა“ (ვოროშილოვგრადი) — „ავრორა“ (რიგა) 3:2, მოპი (მოსკოვის ოლქი) — „კიროვეცი“ (ნოვოსიბირსკი) 3:2, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:1, ცსკა — „ავტომობილისტი“ (ტაშკენტი) 3:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — სკიფ-ი (კიევი) 3:1.

მესამე დღის მატჩებში ერთ-ერთი მოულოდნელობა იყო დებიუტანტების — მოპის ფრენბურთელების გამარჯვება შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებთან, მოსკოველ არმიელებთან — 3:2. „ურალოჩკამ“ იოლად სძლია „ლოკომოტივს“ 3:0. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ — „კიროვეცი“ 3:1, „სპარტაკი“ — სკიფ-ი 3:2, „ავრორა“ — „ავტომობილისტი“ 3:2.

ბოლო დღეს კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს შეჯიბრების ლიდერებმა — „ურალოჩკამ“ და „ისკრამ“. პირველმა დაამარცხა სკიფ-ი 3:0, ხოლო მეორემ — „სპარტაკი“ 3:1.

სხვა თამაშები ასე დამთავრდა: „დინამო“ — ცსკა 3:2, „ლოკომოტივი“ — „კიროვეცი“ 3:1, „ავრორა“ — მოპი 3:1, „ისკრა“ — „ნეფთჩი“ 3:2.

ამრიგად, პირველი წრის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერები არიან „ურალოჩკა“ და „ისკრა“ — 10-10 ქულა.

## კალათბურთი

# მეორე ეტაპის წინ

არსებობს მატჩი რიგითი, არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, არსებობს გადამწყვეტი. ამისდა მიხედვით შესაძლებელია ქულების კლასიფიკაციაც: რიგითი ქულა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და ბოლოს — გადამწყვეტი. მაგრამ აქ ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი. ყოველი ქულა (ან მატჩი) თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადრე აღებულ ქულებთან (ან ჩატარებულ მატჩებთან) მიმართებაში იღებს. ესე იგი კლასიფიკაციაც ამ შემთხვევაში პირობითია — მან შეიძლება მატჩის ან ქულის კონკრეტული მნიშვნელობა განსაზღვროს მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში.

ბოლო დროს ჩვენი საკალათბურთო ლექსიკონი „გამდიდრდა“ ორი საეჭვო წარმოშობის ტერმინით — „ნეიტრალური მატჩი“ და „არაფრისმთქმელი ქულა“. აზრი ამ ტერმინებს ერთი აქვს: „მე ქულა არ მჭირდება, ამიტომ თავსაც არ მოვიკლავ, შემიძლია დავეხმარო მსურველს, ოღონდ... უფრო შორს წასვლა არაა საჭირო“. მით უმეტეს, რომ ამ გზით „გამდიდრების“ მსურველთა რიცხვი დიდია, თვით ტენდენციას კი ყველა აშკარად გმობს, როგორც არასპორტულს.

ნეიტრალურ მატჩებსა და არაფრისმთქმელ ქულებზე ლაპარაკი, ჩვეულებრივ, ჩემპიონატის მიწურულში იწყება ხოლმე, როცა სატურნირო ცხრილში თითქმის აღარ რჩება თეთრი ლაქები. სწორედ მაშინ ირკვევა, რომ ზოგმა გუნდმა ქულების ჭარბი მარაგი შექმნა, ზოგს კი მიზნის მისაღწევად ერთი თუ ორი ქულა აკლია.

არაჯანსაღი ტენდენციების გამომჟღავნება და აღკვეთა სპორტშიც ისევე აუცილებელია, როგორც ცხოვრებაში.

45-ე საკალათბურთო ჩემპიონატის ახალი, სამსაფეხურიანი სისტემა სწორედ ამ ტენდენციის რევიზიას ისახავს მიზნად და ამდენად საჭირო და აუცილებელი ბრძოლის ერთი ეფექტური ფორმაა, რომელიც უსათუოდ იტყვის სათქმელს. ქულებით მანიპულაცია უკვე უაზრობა გახდა თუნდაც იმიტომ, რომ ყოველ გუნდს, გათამაშების ყოველი ახალი საფეხურის წინ რაღაც კონკრეტული ამოცანა აქვს გადასაჭრელი. ჯერ აუცილებელი იყო რვა უძლიერესში მოხვედრა, ახლა მძაფრი ბრძოლა იწყება ოთხეულში მოსახვედრად, იქ კი, ფინალურ ჯგუფში, სადაც ოთხიდან სამი ადგილი საპრიზოა, ვინ ჭკუათმყოფელი გაფლანგავს ქულებს?

ჩემპიონატის პირველი საფეხურის მატჩებმა ერთგვარი სიცხადე შეიტანა უმაღლესი ტიტულისთვის მებრძოლი გუნდების გუნება-განწყობილებაში. მოულოდნელობებისგან დაზღვეული, ცხადია, არავინ აღმოჩნდა.

სამაგალითოდ კიევის „სტროიტელიც“ კმარა. შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა რაღაც სასწაულით შეასწრო უძლიერესთა ჯგუფში „სტატიბას“, რტი-სა და მინსკის არმიელებს. მოულოდნელი იყო მოსკოვის დინამოელთა უთანაბრო თამაშიც. ამ საკმაოდ სოლიდური პრესტიჟის მქონე გუნდს ლამაზი და შინაარსიანი მატჩების გვერდით რამდენიმე გაუგებარი ჩავარდნა ჰქონდა.

მოულოდნელი შეიძლება იყოს არა მარტო ფავორიტების მარცხი, არამედ იმ გუნდების წარმატებაც, რომლებსაც ჩემპიონატის დაწყებამდე არ ჰქონდათ განკუთვნილი რაიმე საგანგებო როლი. ჩვენ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვყავს რიგის ვეფ-ი, რომელმაც ტურნირის სტარტზე ფარ-ხმალი დააყრევინა „სტროიტელს“, მოსკოვის „დინამოს“ და „ჟალგირისს“.

თანამედროვე კალათბურთი ნელ-ნელა შლის ზღვარს ძლიერსა და სუსტს შორის. ეს უსათუოდ პროგრესის, წინსვლის ტენდენციაა, რომლის უგულებელყოფა ან შეუფასებლობა უაზრობა იქნებოდა.

ჩემპიონატის პირველმა საფეხურმა გამოავლინა ის რვა გუნდი, რომლებმაც უმაღლესი საკალათბურთო ტიტულებისთვის ბრძოლის იურიდიული უფლება მიიღეს. რა თქმა უნდა, შეიძლება კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად ლოგიკურად განაწილდა ადგილები წამყვანთა ჯგუფში, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ აუტსაიდერთა კვარტეტი მეტ-ნაკლებად რეალურად ასახავს ძალთა შეფარდებას ჩვენს კალათბურთში. სადაო იყოს შეიძლება მხოლოდ „სტატიბას“ მეცხრე ადგილი. თუმცა ვის შეუძლია ხელაღებით იმის მტკიცება, რომ ეს გუნდი დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე რიგის ვეფ-ი? ძველი თამასუქები ასეთი მძაფრი და უკომპრომისო ბრძოლის დროს მხედველობაში არ მიიღება.

და თუ ეს ასეა, ახლავე შევთანხმდეთ იმაში, რომ ყოველი მოულოდნელობა, თუ კი მას ოდნავ მაინც გააჩნია ლოგიკური საფუძველი, უკვე მოულოდნელობა კი არ არის — კანონზომიერებაა. ასეთ დროს გამოთქმაც უფრო გულდასმით უნდა შევარჩიოთ.

25 იანვარს რიგაში ადგილობრივი ვეფ-ისა და ტალინის „კალევის“ მატჩით დაიწყება საკავშირო ჩემპიონატის მეორე, უფრო [illegible] ეტაპი. თვენახევრის მერე [illegible] ცნობილი იქნება იმ ოთხი გუნდის სახელი, რომელსაც მოუწევს ერთმანეთში 45-ე ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების განაწილება.

კალათბურთის ქართველ გულშემატკივრებს, რა თქმა უნდა, აინტერესებთ თბილისის დინამოელთა როლი და ხვედრითი წონა ამ ბრძოლაში. რა თქმა უნდა, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული პირველ ორ მატჩზე, რომელსაც ჩვენი გუნდი მოსკოვში ატარებს 29 და 31 იანვარს თავის ძველ მეტოქეებთან — ცსკა-სთან და „დინამოსთან“, მაგრამ უარეს შემთხვევაშიც კი დინამოელებს აქვთ შესაძლებლობა შემდგომში, თანდათანობით, დააგროვონ ქულათა ის მინიმუმი, რომელიც აუცილებელი იქნება ფინალისტთა ოთხეულში მოსახვედრად.

მაგრამ საამისოდ საჭიროა, ჯერ ერთი, თითქმის ყველა შინ ჩატარებული ბრძოლის მოგება და მეორეც, გასვლით შეხვედრებშიც ქულათა გარკვეული მარაგის შექმნა. შესწევთ თუ არა ამის უნარი თბილისელ კალათბურთელებს? ჩვენის აზრით — შესწევთ.

„დინამოს“ შემადგენლობა ბოლო ხანს რამდენადმე გადახალისდა. მართალია, ცვლილებები ჯერ ისეთი არსებითი არ არის, რომ მან ძირფესვიანად გარდაქმნას გუნდის თამაში, მაგრამ განახლების ტენდენცია გარკვეულ სტიმულს აძლევს კოლექტივს. ეს კი ბევრს ნიშნავს. სტიმული და მიზნის სიცხადე მძიმე ბრძოლაში კარგი მოკავშირეა.



მთავარი კი მაინც ის არის, რომ მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა გუნდის თამაში ცენტრალურ ზონაში — ყველაზე პასუხსაგებ და „დინამოსათვის“ საჭირბოროტო უბანში. ცენტრალური ზონა უმოკლესი გზაა მეტოქის კალათისკენ. აქ იწყება და აქ მთავრდება ყველა ის შეტევა, რომელიც საბოლოო ჯამში ქულებად უნდა გადაიქცეს. ამიტომ ვანიჭებთ ამ პრობლემას ესოდენ დიდ მნიშვნელობას.

გარკვეული პროგრესი იგრძნობა შეტევის მეორე ეშელონის ორგანიზაციაშიც. არის კიდევ სხვა იმედისმომცემი სიახლენიც, მაგრამ მთავარი პრობლემა ჯერჯერობით მაინც გადაუჭრელი რჩება. ესაა დაცვის საკითხი, თუმცა დინამოელთა ბოლო მატჩებმა გვიჩვენა, რომ ამ რგოლშიც იგრძნობა ერთგვარი წინსვლა. გამარჯვებისთვის საჭირო ქულათა მარაგს ჩვენი თავდასხმა მუდამ ქმნის. დაცვაში კი იგი არ არის ყოველთვის შეუვალი და უცოდველი. ამას კი ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გუნდის თამაშში.

ასეა თუ ისე, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა წინაშე ამ ჩემპიონატში საკმაოდ კონკრეტული ამოცანაა დასმული, რომლის გადაჭრაც, ჩვენის აზრით, კოლექტივს შეუძლია. თუ რა გზით აპირებს იგი ამ ამოცანის გადაჭრას, აშკარა გახდება მეორე ეტაპის მატჩებში, რომლებსაც დინამოელები, როგორც უკვე ვთქვით, 29 იანვარს იწყებენ მოსკოვში.

**ნ. გუგუშვილი.**

# ნიკორწმინდაში პირველად

ნიკორწმინდას არ ახსოვს ასეთი ზეიმი. ვის არ შეხვდებოდით აქ — უცნობს, და ნაცნობს, ახალგაზრდასა თუ მოხუცს, ყველას, ვისაც სათხილამურო სპორტი ხიბლავს და იზიდავს.

ლოზუნგებითა და პლაკატებით ლამაზად გაფორმებული სარბენი ბილიკები საზეიმოდ გამოიყურებოდა. ამბროლაურის ეს კუთხე პირველად გადაიქცევა სათხილამურო სპორტში მოსწავლეთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობის ცენტრად. ეს დიდი ნდობაა და იგი რაიონის განათლების განყოფილებამ შესანიშნავად გაამართლა.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის თ. კობიძის ნიშანზე 10 კილომეტრზე მოასპარეზე ვაჟები გზას გაუდგნენ. ერთმანეთს მიჰყვებიან მესტიის, ბორჯომის, ახალქალაქის, ამბროლაურის, ბოგდანოვკისა და ცაგერის სპორტსმენები. მალე ახალქალაქელები დაწინაურდნენ, მათ კვალში ბოგდანოვკელები და მესტიელები მიჰყვნენ. ფინიშის სწორი პირველმა ახალქალაქელმა ნ. შაშიკიანმა გადაკვეთა. II და III ადგილები მესტიელებმა — გ. ნაკანმა და მ. მუკვანმა დაიკავეს. გუნდური გამარჯვება მესტიელებმა მოიპოვეს — 22 საჯარიმო ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბოგდანოვკისა (34 ქულა) და ახალქალაქის გუნდები — 37.

...გოგონები 5 კილომეტრზე დარბოდნენ. აქ ე. ჭელიძემ (ამბროლაური) იმარჯვა, II და III ადგილებს ამბროლაურელი ნ. ჭმუხაძე და მესტიელი ნ. გულედანი დაეუფლნენ. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: ამბროლაური — 19,5 საჯარიმო ქულა, ცაგერი — 31, მესტია — 41,5.

მეორე დღეს ესტაფეტები გაიმართა. ვაჟთა შორის 3×5 კმ-ზე რბენაში მესტიის გუნდმა იმარჯვა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ახალქალაქისა და ბოგდანოვკის ნაკრები გუნდები.

გოგონების ესტაფეტაშიც (3×3) მესტიელმა სპორტსმენებმა ისახელეს თავი. მათ კვალში მიჰყვნენ ამბროლაურელები და ბოგდანოვკელები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მესტიელმა მოთხილამურეებმა მოიპოვეს — 65,5 საჯარიმო ქულა. II ადგილი ამბროლაურელ მოსწავლეებს ხვდათ — 75,5, III — ახალქალაქელებს.

ე. დავითაშვილი.

# ბესარიონ ხერგიანი



ჩვენს შორის აღარ არის ქართული საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი პიონერი ბესარიონ ბექას-ძე ხერგიანი. 74 წლის გაუტეხელი და ჯანღონით ალსავსე, მაინც გატეხა ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ.

ბესარიონ ხერგიანი 1903 წელს დაიბადა მესტიაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა პირველ მსოფლიო ომში დაეკარგა. სვანეთში იმ დროისათვის ისედაც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ და პატარა ბესარიონს ბავშვობიდანვე დააწვა ოჯახის მძიმე უღელი. მას შემდეგ სიკვდილამდე არ დაუგდია გლეხი კაცის ცხოვრების მუდმივი იარაღი — ბარი, ნაჯახი, ცელი...

ბუნებით ხალისიანმა შრომასთან ერთად თავისი ცხოვრების მეგზურად სპორტი და ხელოვნება გაიხადა. საქართველოს ხალხური ხელოვნების ოლიმპიადებზე არაერთხელ დაუმსახურებია ტაში. ვისაც სცენაზე უნახავს, არასოდეს დაავიწყდება ბესარიონისეული შაირი თუ ავაზახავით მოქნილი ცეკვა. დიდხანს ემახსოვრებათ ბესარიონის ჭიდაობაც.

მაგრამ, მისი უპირველესი გატაცება მაინც მთამსვლელობა იყო. [illegible] ბიძაშვილმა გაბრიელმა ოცდაათიან წლებში სვანეთში თვალშეუდგამ მწვერვალთა დასალაშქრავად ჩამოსულებს მიბაძეს.

1937 წელს ბესარიონ ხერგიანი გულის ყინვარიდან სამხრეთ ალმოსავლეთი კედლით სამხრეთ უშბას იპყრობს. ასე ეურება საფუძველი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში კედლოვან ასვლებს.

ამ ლაშქრობის შემდეგ ზურგი რომ შეექცია მთებისთვის, ბესარიონ ხერგიანის სახელი მაინც მოწიწებით სათქმელად დარჩებოდა ქართული და, არა მხოლოდ ქართული ალპინიზმის ისტორიაში.

ბესარიონის, როგორც უებრო მთამსვლელის რჩევას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი სამამულო ომის წლებში, როდესაც კავკასიონს ფაშისტთა ჯარები მოადგა. სხვებთან ერთად ბესარიონის უშუალო რჩევითა და მონაწილეობით ხდებოდა საბჭოთა არმიის სამთო-მსროლელ ქვეგანაყოფების დისლოკაცია ცენტრალური კავკასიონის უღელტეხილებზე.

ბესარიონ ხერგიანს დახაქადნა ისიც ეყოფოდა, რომ სამშობლოს ცხრა შვილი გაუზარდა. ეგეც რომ არ ყოფილიყო, ერთი მათგანის — „კლდის ვეფხვად“ წოდებული ლეგენდარული მიხეილ ხერგიანის სახელიც საკმარისი იქნებოდა.

...ახლა მთელი მესტია სამგლოვიარო ზარით ეთხოვება ბესარიონ ხერგიანს.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი,
საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია.

## ახალი ნაბიჯი მეგობრობის განმტკიცების გზაზე

ტრიპოლი. 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის მზადებას მიეძღვნა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობისა და ლიბიაში ახალგაზრდობის საქმის სამდივნოს ერთობლივი სხდომა. ახალგაზრდა სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეს. აქ, 1969 წლის რევოლუციის შემდეგ, 8 წლის განმავლობაში გაიხსნა ათობით თანამედროვე სპორტულ-ახალგაზრდული კომპლექსი, საწვრთნელი ბანაკი და 129 სპორტული კლუბი. ქვეყანაში სპორტული მოძრაობის მთავარი პრინციპია — სპორტი ყველასთვის!

ლიბიაში სპორტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას დიდად უწყობენ ხელს საბჭოთა სპორტული ორგანიზაციები და სპეციალისტები.

ლიბიის სპორტული საზოგადოება აღნიშნავს, რომ სსრ კავშირსა და ლიბიას შორის სპორტული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ახალი ნაბიჯია ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების გზაზე და მნიშვნელოვანი ეტაპია ოლიმპიადა-80-ისთვის ლიბიელი სპორტსმენების მომზადებაში. (საკდესი).

## კალათბურთი

კიდევ ორი მატჩი გამართეს ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის ნაკრების კალათბურთელებმა. ჯერ სოლტ-ლეიკ-სიტიში ბრიგხემის უნივერსიტეტის ნაკრებს შეხვდნენ და დაამარცხეს — 79:78. ისევე როგორც პირველ მატჩში, აქაც გადამწყვეტი 2 ქულა გუნდს შესძინა იოვაიშამ, და კვლავ მატჩის დამთავრებამდე 29 წამით ადრე. აღსანიშნავია, რომ მეტოქეთა შორის 5 კალათბურთელი იყო, რომელთა სიმაღლე 210 სმ აღემატებოდა. შემდეგ კანზას-სიტიში ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდს შეხვდნენ და ამჯერად დამარცხდნენ — 54:57. შემდეგ მატჩს საბჭოთა ნაკრები გამართავს პროვიდენსში.

## ხელბურთი

კაუნასში დაიწყო ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ტური. პირველ დღეს შეჯიბრების დებიუტანტებმა — ვილნიუსის „ეგლეს“ სპორტსმენებმა წააგეს ბაქოს „სპარტაკის“ გამოცდილ გუნდთან — 16:17. დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: უპი (სვერდლოვსკი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 16:14, „მეტალურგი“ (ბროვარი) — „ლუჩი“ (მოსკოვი) 18:17, ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (კიშინიოვი) 25:23, „სპარტაკი“ (კიევი) — „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) 28:9, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „კოლოსი“ (ბერეგოვო) 18:13.

## „სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მესამე ტირაჟისა, რომლებიც მოსკოვში 18 იანვარს მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ექვსი ნომრის (შეღავათიანი ბურთულით) გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ხუთისთვის — 4613, ოთხისთვის — 53, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ხუთისთვის — 2441, ოთხისთვის — 70, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 29 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მესამე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

პირველი: 5, 6, 8, 18, 20.

მეორე: 5, 6, 7, 31, 33.

## თბილისის სპორტულ ცხოვრება

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). თბილისის ვაჟთა პირველობის ფინალი. 22-25 იანვარი. 22 იანვარს გაიმართება გადადებული პარტიების დამთავრება, 24-ში — დასკვნითი, XVII ტური, 25-ში გადადებული პარტიების დამთავრება და შეჯიბრების დახურვა. დასაწყისი 18 ს.

## მსოფლიო ჩემპიონების მატჩები

# მეორე შეხვედრა ჩიგორინთან

1890 წელს ვ. სტეინიცმა გამოაქვეყნა თავისი შრომების პირველი ტომი. ამ წიგნის გაცნობისთანავე მ. ჩიგორინმა მისწერა მსოფლიო ჩემპიონს, რომ არ იზიარებს მის ორ რეკომენდაციას, კერძოდ, ევანსის გამბიტში და ორი მხედრის დებიუტში. თავისი სიმართლის დასამტკიცებლად სტეინიცმა ოპონენტს ორი პარტიის თამაში შესთავაზა ტელეგრაფით, ოღონდ პარტიები სადავო ვარიანტებით დავიწყოთო.

სატელეგრაფო მატჩმა 1890 წლის ოქტომბრიდან 1891 წლის აპრილამდე გასტანა. იგი მხოლოდ ცოტა ხნით შეწყდა, სტეინიც — ჰუნსბერგის შეხვედრის გამო. რუსეთის პირველმა მოჭადრაკემ ბრწყინვალედ მოიგო ორივე პარტია. თავის მარცხს სტეინიცი სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით ხსნიდა, მაგრამ ბოლოს მაინც დასძენდა: „ეს სრულებით არ ამცირებს ჩემი მეტოქის დამსახურებულ გამარჯვებას“.

ამ მატჩის დროს ასეთი კურიოზიც მოხდა: ერთხელ, როცა სტეინიცი სვლას გადასცემდა, ნიუ იორკის პოლიციამ დააკავა იგი, „როგორც რუსეთის ჯაშუში“.

ჩიგორინის გამარჯვებას ფართო გამოხმაურება ჰქონდა. იმავე წლის მაისში, თითქმის ერთდროულად, პეტერბურგის საჭადრაკო საზოგადოებამ და ჰავანის საჭადრაკო კლუბმა მოიფიქრეს მსოფლიო პირველობაზე ახალი მატჩის მოწყობა სტეინიცსა და ჩიგორინს შორის. ჩიგორინმა გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონი. სტეინიცს არ შეეძლო უარის თქმა. მისი არჩევით შეხვედრა ჰავანაში დაინიშნა.

სტეინიცი თავის ჟურნალში წერდა, რომ უხალისოდ ითამაშებს, რადგან გრძნობს წლების სიმძიმეს (ამ დროს იგი 56 წლის იყო) და ძალიან დაკავებულია ლიტერატურული საქმიანობით. იქვე მიანიშნებდა მკითხველს, რომ ეს მისი უკანასკნელი მატჩი იქნება. მაგრამ ასე არ მოხდა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ითამაშებდნენ 10 მოგებულ პარტიამდე. თუ ანგარიში 9:9 გახდებოდა, მაშინ განაგრძობდნენ თამაშს კიდევ სამ მოგებულ პარტიამდე. პირველი ხუთი ყაიმი მხედველობაში არ მიიღებოდა, შემდგომში თითოეული ყაიმი კი ნახევარ ქულად ჩაითვლებოდა. საპრიზო ფონდი 2 ათასი დოლარით განისაზღვრა.

მატჩი დაიწყო 1892 წლის 1 იანვარს ჰავანის ახლადგებული კლუბის „სენტრო ასტურიანოს“ დიდ დარბაზში.

ჩიგორინმა წარმტაცი კომბინაციით მოიგო პირველი შეხვედრა. უნდა ითქვას, რომ ამ მატჩში სტეინიცს გაუჭირდა ჩიგორინის მოზღვავებული ენერგიის დათრგუნვა. სტარტზე მხოლოდ VI პარტიის შემდეგ დაწინაურდა, მერე XXII პარტიამდე სულ ანგარიშის გათანაბრებაზე უხდებოდა ფიქრი. ორჯერ ჩიგორინი ორი ქულის სხვაობით ლიდერობდა.

XVIII პარტიამდე ორთაბრძოლა ასე მიმდინარეობდა: 0:1, 0,5:0,5, 0,5:0,5, 1:0, 0,5:0,5, 1:0, 0:1, 0:1, 0,5:0,5, 0:1, 1:0, 0:1, 1:0, 1:0, 0:1, 1:0, 0:1.

სტეინიცი ჩიგორინს მის საყვარელ დებიუტებში ებრძოდა, თეთრებით ყველა პარტიას მეფის პაიკით იწყებდა. შავებით კი ევანსის გამბიტის წინააღმდეგ თამაშობდა, თუმცა თავის დაწუნებულ გაგრძელებას არ მიმართავდა და მაინც პრეტენდენტს ვერ გაუმკლავდა: —7+6=4.

მსოფლიო ჩემპიონი დახურულ დებიუტებს დაუბრუნდა, რადგან სტრატეგიულ პოზიციებს უკეთესად თამაშობდა. მატჩი კიდევ უფრო დაიძაბა.

სტეინიცმა მოიგო XVIII პარტია, მაგრამ ჩიგორინმა XIX პარტიაში რევანში აიღო. XX პარტიაში კვლავ გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა და ანგარიში ისევ გაათანაბრა (+8 —8=4).

XXI პარტია ყაიმით დასრულდა, თუმცა ჩიგორინს უნდა წაეგო. მან თვით სტეინიცის საეჭვო გამბიტი გამოიყენა და სასწაულებრივად გადარჩა. XXII პარტიაშიც ჩიგორინმა ძალიან ცუდად ითამაშა ლაზიერის გამბიტის წინააღმდეგ და უკვე მე-15 სვლაზე უფიგუროდ დარჩა. დაწინაურდა სტეინიცი: +9—8=5.

XXIII პარტიაში (1892 წლის 28 თებერვალი) ჩიგორინმა აგრესიული მეფის გამბიტი გაითამაშა, მაგრამ სტეინიცმა მალე გაცვალა ლაზიერები და ბრძოლა ენდშპილში გადაიყვანა. მიუხედავად ამისა, ჩიგორინი ჩინებულად თამაშობდა. სტეინიცის 31-ე სვლის შემდეგ ასეთი პოზიცია შეიქმნა:

სტეინიცი



ჩიგორინი

ცნობილი ამერიკელი მოჭადრაკე ვასკეცი წერს: „ყველა მოხიბლა ჩიგორინის ბრწყინვალე თამაშმა. ყოველ წუთს ველოდით სტეინიცის დანებებას. უცებ დარბაზი უჩვეულოდ აღელდა. მაყურებლები ფეხზე დგებიან, ყველა ხედავს სახეშეცვლილ, თავზარდაცემულ რუს ოსტატს როგორ მიაქვს ხელი თავისკენ. მან უსაფუძვლოდ წაიყვანა ქუ, რომელიც შამათისგან იცავდა. საწყენია, — იმეორებდა ასობით ხმა, — როგორი გულდასაწყვეტი და საშინელი დასასრულია ამ შესანიშნავი მატჩისა. ჩიგორინს შეუძლია კანონიერად იამაყოს: სტეინიცი არასოდეს ყოფილა ასე ახლო დამარცხებასთან“.

ჩიგორინმა უმძიმესი შეცდომა დაუშვა 32. კb4?? და 32. ... ე:h2+ შემდეგ დანებდა. მან ვერ შეამჩნია ორსვლიანი შამათი.

საბედისწერო პოზიციამ მსოფლიო პრესა შეძრა. მაშინ მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ ჩიგორინს ადვილად მოსაგები პოზიცია ჰქონდა. მაგრამ შემდგომმა ანალიზებმა ცხადყო, რომ მოგების გზა უზუსტეს თამაშს მოითხოვდა.

სტეინიცმა მოიგო მატჩი (+10—8=5) და ტიტულიც შეინარჩუნა.

პაექრობის დამთავრებისას სტეინიცმა დაწერა: „ჩიგორინმა თითქმის გამარჯვებულად დაამთავრა მატჩი“.

ბევრს სურდა სტეინიცი და ჩიგორინი კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი ...რზე იყო. მალე მას დიდი უბედურება დაატყდა თავს: მოულოდნელად გარდაეცვალა მეუღლე და ქალიშვილი.

გ. გომელაური.



სურათზე: ჟურნალ „სტრეკოზაში“ 1892 წელს დაბეჭდილი სტეინიც — ჩიგორინის მატჩისადმი მიძღვნილი მეგობრული შარჟი.

რედაქტორი
ა. გასილაძე

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-...; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო ... 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07...